# ჩანგი

№ 5 პარასკევი, 26 ივნისი, 1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ., ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. განცხადების ფასი: ... ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапань", Семену Ивліановичу Цхомелидзе.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



## ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთის ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილის გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

ქალაქ გარეთ: 3 თვით—2 მან. 50 კაპ., 1 „ — 90 „

თფილისში: 3 თვით—2 მან. 20 კაპ., 1 „ — 80 „

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან

ცალკე ნომერი ყველგან—ერთი შაური

კვირას, 28 ივნისს

**ახალო ივანეს ძე ვადაჭკორიას**

გარდაცვალების მეორმოცე დღეს წმინდა ნინოს ეკლესიაში 12 საათზე გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე ბაბინე. (4—2)

**დ. ნაგომარში** (გურია)

მისი აღმატებულების ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით **კვლავ ახლდება დრიმით შეწყვეტილი „იარმუკა"** ცხრილ წოდებული „**ზარინობა**", რომელიც იწყება ... **ხუთშაბათს** ... 3—3

ზუბალაშვილების სახალხო თეატრი.

**კვირას, 27 ივნისს გაიმართება ინტერნაციონალური**

## კონცერტი

წაიკითხავენ და იმღერებენ ლექსებს: ქართულად, რუსულად, სომხურად, თათრულად, ებრაულად, ოსურად, ფრანგულად, ესპერანტოზე, იტალიანურად, პოლონურად, მოლოკნური და სხვა ენებზე. აგრეთვე დაუკრავენ სკრიპკაზე ... **7 და 8 წლის ... ** ... „პიკლოვის დამა" ... ზურაბ ... წაიკითხავს ... 

ბილეთების ფასი 5 კ. 50 კ.-მდე. ბილეთები ისყიდება ყველა დღე სახალხო თეატრის კასაში 12—2-მდე და 6—8 საათამდე.

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.** გამგე: **ილია დოლიძე.**

გაიხსნა ახალი თფილისის

## კერძო სამკურნალო (ამბულატორია)

ექიმ-სპეციალისტთა ... ვაზნელის ქ., № 6; ...

ექ. ... 

... 0—54

## აბასთუმანში

კვირას ... ივნისს ... **№ 42.**

სახალხო სახლი მმ. ზუბალაშვილებისა **პარასკევს, 26 ივნისს** ... წარმოდგენილი იქნება პირველ მოქმედება ახალი პიესის

I

## იორის ასული

თარგმ. ... 

II

## „რუკი ვერს"

III

## საკონცერტო განყოფილება

... დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

... გ. დ. ურუშაძე.

→ ვყიდი, ჩემს ←

## ღვინის სარდაფს

ავამყოფობის გამო

**საუკეთესოთ მოწყობილს**

ავჭალისა და რეუტოვის კუჩების კუთხეში. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ აქვე იროდიონ თქროაშვილს. (2—2)

## დ. სურამში.

კბილის ექიმი

## ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს. დილის 10—2 ს. საღამოს 4—6 საათ.

ადრესი: ნებიერიძის სახლი. სადგურის ახლო.

## საჭიროა მასწავლებელი

„წერა-კითხვის საზოგადოების" სკოლისათვის **ს. დიდგომარეთში** (ბორჩალოს მაზრა). მასწავლებელს ექნება ბინა და ჯამაგირი თვეში 30 მანეთი.

მსურველმა თხოვნა და საჭირო საბუთები უნდა გამოგზავნოს გამგეობის სახელზეთ თფილისი, წერა-კითხვის საზოგადოება. (3—1)

## ჭიდაობა დ. ახალსენაკში

მთავრობის ნებართვით კავკასიის უძლეველის ფალავნის **ნესტორ ესებუას** თაოსნობით, პეტრე-პავლობის იარმუკაზე გაიმართება ფრიად საინტერესო ცირკის მოთამაშეებისაგან **სხვადასხვა საუცხოვო** წარმოდგენა, ცირკის დირექტორის გურულის **ს. მ. კალანდაძის** გამგეობით, აგრეთვე გამოწვეული მყავს თექვსმეტი სახელოვანი ფალავნები, როგორც კავკასიელნი, ისე რუსეთიდანაც. ყველა ჭიდაობები იქნება პრემიებზე. ამათ შორის ორი რუსის ქალების მოჭიდავეებიც არიან, და მხოლოდ იწვევენ მათთან საჭიდაოთ როგორც ქალებს, ისე კაცებსაც ფრანგულ ჭიდაობაზე. წარმოდგენა და ჭიდაობა დაიწყება შაბათს 27 ივნისიდან. აგრეთვე ნ. ესებუა ითხოვს ყველა მსურველ მოჭიდავეებს მასთან საჭიდაოთ და ვინც აჭიდავება და დასცემს ის მიიღებს ჯილდოს 100 მანეთამდე.

(1—1) გამგე **ნ. ესებუა.**


## ქალაქის სასანიტარო გადასახადები.

როგორც წინა წერილში ვამბობდით, კომუნალური (ქალაქის თვითმართველობის) გადასახადები, იქნება ეს ეკონომიური თუ ჰიგიენური მიზნით გაწერილი, მუდამ და ყოველთვის შეძლების და სარგებლობის პრინციპზე უნდა იყოს აგებული, ყველა მოქალაქეთ შეძლების და სარგებლობის მიხედვით უნდა ხდებოდეს. დიახ, ამ პრინციპის გარეშემო ტრიალებს დასავლეთ ევროპის ქალაქების ჰიგიენური და სასანიტარო ხარჯი. გადასახადები, როგორიც არის მაგ. ქალაქის ქუჩების დასუფთავების და ჭუჭყიან წყლის კანალიზაციის გადასახადები—ამ ჯურის გადასახადებმა, თანამედროვე კომუნალურ გადასახადებში საპატიო ალაგი დაიკავა. ქალაქის საზოგადოება ახლა უკვე თვითონ ზრუნავს მცხოვრებთა ჰიგიენურ და სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რომლის განსახორციელებლათ აწერს იგი განსაკუთრებულ გადასახადებს. მაგრამ ეს გადასახადი, როგორც უკვე ვსთქვით, არ არის სულზე გადასახადი, იგი ჩვეულებრივ მცხოვრებთა შეძლებულ და მესაკუთრეთა ნაწილიდან უნდა ამოიღოს. სანიმუშოთ თუნდაც ქალაქის ქუჩების დასუფთავების გადასახადები განვიხილოთ.

ქალაქის ქუჩების ნაგავ-უსუფთაოვობისაგან დასუფთავება, სხვაგანაც და ჩვენშიაც, წინათ სახლის პატრონების მოვალეობას შეადგენდა; მის სახლის წინ თითონ მესაკუთრეს უნდა დაესუფთავებინა, თითონ უნდა დაეგავა და მით ერთნაირი სისუფთავე უნდა დაეცვა ქუჩაზე, მაგრამ მალე, განსაკუთრებით დიდ ინდუსტრიალურ ქალაქებში, მისვლა-მოსვლის ტეხნიკური და ჰიგიენურ მოსაზრებით თანდათან ქუჩების დასუფთავების საქმე, კერძო მესაკუთრეებიდან კომუნალურ საზოგადოების ხელში გადადის, დასახელებულ ფუნქციას, თვით ქალაქის საზოგადოება კისრულობს. აქ ფუნქციის კომუნალურ საზოგადოების ხელში გადასვლიდან სახლის პატრონებმა იმ თავიდანვე მოინდომეს მთელი ამ ხარჯების სამოქალაქო კასაზე დაწოლა, ქალაქისთვის დაკისრება იქ, სადაც ქალაქის ქუჩების გადასახადები დაწესდა, მესაკუთრეები მაშინვე შეეცადენ აქედან რამე სარგებლობა ენახათ, ქალაქის ხარჯზე ქუჩების დაწმენდიდან რამე ხეირი ენახათ. კომუნალურ მართვა-გამგეობაში გავლენის საშუალებით ცდილობდენ, ქუჩების დასასუფთავებლათ საჭირო ხარჯების განსაზღვრული ჯამი აღენიშნათ, რომელიც, რასაკვირელია, ოდნავათაც ვერ დაფარავდა ამ ხარჯებს და ასე დანარჩენი თვით საზოგადოებისთვის დაეკისრებინათ, კომუნალურ მართველობის კასისთვის მოეხვიათ თავზე.

ქუჩების დასასუფთავებელი ანუ დასაწმენდი გადასახადების რაოდენობა ერთობ მრავალ-გვარია, სხვადასხვა-ნაირია, ზოგიერთ ევროპის ქალაქებში ქუჩის სივრცეზე—განსაზღვრული იქნება ეს ზომა არშინით თუ საჟენით აღებული—სახლის პატრონებს განსაზღვრულ გადასახადს ახდევინებენ კომუნალურ მართვა-გამგეობის სასარგებლოთ. ზოგან კი, გადასახადების საფუძვლათ სახლის სიგრძეს უდებენ, ე. ი. რასაც კი სახლის სიგრძე-სიგანე გაიტანს. აქ, რასაკვირველია, მეტი ხვდება გადასახადი გაშენებულ მამულებს, ვიდრე გაუშენებელს—ცარიელს. არის კიდევ ქალაქები, სადაც ქუჩების გასაწმენდ გადასახადებს შენობების სართულების მიხედვით ანაწილებენ. რასაკვირველია, ყველა ამ ტიპის გადასახადებს, როგორც კომუნალურ მართვა-გამგეობის ცნობილი მცოდნეები ამბობენ, აქვთ თავ-თავიანთი ღირსება-ნაკლულევანებანი, რომლის გამო ერთნაირ სისწორ-სიმარ-

## სპარსეთის ამბები

(ს.-პეტ. დეპეშათა სააგენტოსაგან.)

**24 ივნისი.**

**თეირანი**. გამოქვეყნდა საარჩევნო კანონი. არჩევნები თეირანში ათ დღეში დაიწყება. ბახტიარების ნაწილი მივიდა კერეჯში და შეუერთდა სეპეხდარს. უკანასკნელმა პასუხი შეუთვალა მისსიებს, რომ მას მტკიცეთ გადაწყვეტილი აქვს განაგრძოს ბრძოლა. ყაზვინში დიდი მოძრაობაა, თავს უყრიან ახალ ფიდაებს, და ცხარე აგიტაციას ეწევიან. სატახტო ქალაქში მუშტეხიდი სადარული აშკარათ მოუწოდებს შეიარაღებულ აჯანყებისთვის და საერთო გაფიცვისთვის, მოუწოდებს დახურონ ყველა დუქნები, პურის საცხობებიც კი.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ თეირანიდან, რომ რუსეთის და ინგლისის წარმომადგენლებმა წერილით აღუთქვეს სეპეხდარს მხარი დაუჭირონ ორ მის მოთხოვნას, სახელდობრ შახის და ახლობელ რეაქციონერების დათხოვას და ახალი მინისტრების დანიშვნას. „დეილი ტელეგრაფი"-ს ცნობით სეპეხდარმა უარყო ყველა კომპრომისები და გადაჭრით განაცხადა თეირანისკენ მივდივარო.

**თეირანი**. აქ ყაზვინიდან იტყობინებიან—ფიდაებმა, რომ აეჯანყებიათ მთელი მცხოვრებნი, გაავრცელეს ხმები, ვითომც ნეჯეფიდან სპარსეთში მოვიდა ცნობილი მუშტეხიდი ყაზიმ ხოროსანი, რომელიც მოლების სხვა ქალაქების, მათ შორის ხამადანის, ენჯანის და ისფაგანის, მეთაურებთან ერთათ მივიდაო. ფიდაების ადგილობრივ კომიტეტმა შეკრიბა მოლები სათათბიროთ, რომ შეიმუშაონ ერთი გეგმა თეირანზე გასალაშქრებლათ.

**თეირანი**. ქ. ყაზვინში რუსეთის ჯარის მისვლამ იძულებულ-ყო მუშტეიდები, რომლებიც ამას წინათ წერილით დაემუქრენ საიმპერატორო მისსიას, ეთხოვათ არ გაეგოთ ცუდათ ეს წერილი. ამასთანავე მუშტეიდებმა პირობა მისცეს დაიცონ უცხოელი გაზეთის რედაქტორი, რომელმაც ამას წინათ ცილი დასწამა რუსეთის ჯარს. თხოულობს ნება მისცენ ბოდიში მოიხადოს მისიის წინაშე, სხვა და სხვა მისიების დეპუტატებმა დილით პასუხი წაუღეს კერეჯში სეპეხდარს. ზავი 23 ივნისს შუადღისას ჩამოაგდეს.

(გაზეთებიდან)

**სპარსეთის წარმომადგენლის აზრი სპარსეთის საქმეებზე.** „გოლოს მოსკ." თანამშრომელს უბაასნია სპარსეთის საელჩოს ერთ წარმომადგენელთან სპარსეთის საქმეების შესახებ.

ჩემთვის, სთქვა წარმომადგენელმა, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სპარსეთის ამბები თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს. ტელეგრაფის და სააგენტოს უკანასკნელი ცნობები, ბახტიარების თეირანზე გალაშქრების შესახებ, რამდენათმე ამატებენ ამ უწესოების მნიშვნელობას. საქმე იმაშია, რომ სპარსეთის დღევანდელ პოლიტიკურ მომენტში მეტათ ხელსაყრელია პარტიზანული გამოსვლები, ვიდრე ბახტიარების რეგულიარულ ჯარის მოქმედება

საკვირველია, რატომ ამდენ ხანს გაზეთები ხმას არ იღებენ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში სამღვდელოება დღითი-დღე მეტ გავლენას ახდენს ხალხზე, სათარხანის დროს კი მუშტეიდები უკვე გადადგენ პოლიტიკურ ასპარეზიდან და ყოველივე გავლენა დაკარგეს.

ამის დასამტკიცებლათ მან უჩვენა ახლად გამოსული პროკლამაციები, რომლებიც ათასობით ვრცელდება სპარსეთში. პროკლამაციაში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ ეხლანდელმა შახმა სამღვთო ნადირობის დროს ვერ მოკლა ლეოპარდი, რაც იმის ნიშანია, რომ ის ტახტიდან უნდა გადადვეს. ამ ნადირობის დროს შახს ყუმბარა ესროლეს და ის უკან გამობრუნდა. ცრუმორწმუნე ხალხის თვალში ამ გარემოებას შეუძლია სრულიად დასცეს შახის ავტორიტეტი.

**როგორ „გაიმარჯვეს" კაზაკებმა.** ამ „გამარჯვების" შესახებ საერთოთ ყალბი ცნობები გავრცელდა. ნამდვილათ კი ასე მომხდარა: როგორც კი კერეჯის ხიდი აიღეს, სეპეხდარმა განკარგულება მოახდინა ადგილზე დარჩენილიყვენ და ბრძოლა არ დაეწყოთ, მაგრამ ღამით 30 ფიდაიებმა პატარა ზარბაზნით, სეპეხდარის გაუგებლათ, წინ გაიწიეს და შახის კაზაკებს თავს წააწყდენ. კაზაკებმა ზარბაზნები და ტყვიის მტყორცნელები დაუშინეს, ასეთმა მოქმედებამ სეპეხდარი ძალიან გააბრაზა და დახმარებაზე უარი სთქვა. ფიდაიებმა დაჰკარგეს ზარბაზანი, ორი მოუკლეს და სამი ტყვეთ წაიყვანეს. ერთი ტყვეთ წაყვანილი ხმლებით აკუწეს, წყალში გადააგდეს და შემდეგ თოფები დაუშინეს.

**ჰარამ-ხანის გაგზავნა**. შახი ამ ჟამათ ქალაქს გარეთ არის გამაგრებული. რევოლიუციონერების მოლოდინში ჰარამხანა თეირანში გაგზავნა და ზარბაზნები და სხვა საომარი მასალა მოითხოვა.

თლით არ ეხდევინება მოქალაქეთ, მაგრამ ეს გზები, ეს საშუალებები თანამედროვე პირობებში, უფრო მიზანის შესაფერი და სამართლიანია. ამათში უფრო სამართლიანი გადასახადი ქუჩის სიგრძე-სიგანით გადასახადია, რომელსაც კი ესა თუ ის სახლი, ესა თუ ის მამული გაიტანს, თუმცა აქაც კი ბევრი უთანასწორობაა. ამ ქუჩების დაწმენდა-დასუფთავებას, საცა დიდი მოძრაობა არის, დიდი ხარჯი-გასავალი სჭირია, მეტი იხარჯება, ვიდრე იმ ქუჩებზე, საცა ნაკლები მოძრაობაა, ე. ი. მიყრუებულ კუთხეებში. აი, ასეთ ქუჩებზე აშენებულ სახლების პატრონებს, თამამათ შეუძლიანთ სასანიტარო-ჰიგიენური გადასახადი გადაიხადონ, ვიდრე იმას, რომლებსაც სახლები ქალაქის განაპირა ალაგებში აქვთ; ვინაიდან ასეთ ცოცხალ-გაჩაღებულ ქუჩებზე, სახლის ქირა მუდამ მაღალია, მაშასადამე მის პატრონსაც ადვილათ შეუძლია მომატებულ სასანიტარო გადასახადის ატანა. გარდა ამისა, საცა ზედ-მეტი მოძრაობაა, იქ ქუჩებს, ჩვეულებრივ ხშირი შეკეთება სჭირია და მეტი ხარჯიც უნდა. უკანასკნელი გარემოება კი, მეტს გასავალს მოითხოვს ქალაქის თვითმართველობისაგან. ამისათვის, ყველგან და ყოველთვის, ეგრედ-წოდებული სასაჟენო ანუ საარშინო გადასახადი, ნორმალურ და სამართლიან გადასახადათ არის მიჩნეული. ქალაქის გარეთ გაშენებულ სახლების ქუჩებს მეტი დასუფთავება ესაჭიროება, ვიდრე გაუშენებელ ქუჩებს, სასანიტარო გადასახადიც, მაშასადამე, ამის მიხედვით უნდა გაწესრიგდეს.

ამავე პრინციპზეა აგებული საკანალიზაციო გადასახადი. კანალიზაციის სისტემა, რამდენათაც კი იგი სრული კანალიზაციაა, ერთობ ძვირი და ხარჯიანია. აქაც ქალაქის თვითმართველობას იგივე საკითხი უდგება წინ, როგორიც ქუჩების გასუფთავებაში. მან ეს ხარჯები მოსახლეებიდან უნდა აკრიფოს და ისე დაფაროს მთელი კანალიზაციის გასავალი. ეს ხარჯები თითქმის ნაწილდება იმ სახითვე, როგორც მაგალ. ქუჩების დასასუფთავებელი გადასახადი. ჩვეულებრივ კანალიზაციის გადასახადი იმის მიხედვით ნაწილდება, თუ რამდენ მანძილზე, რა სიგძით ჩაუვლის კანალი ამა თუ იმ სახლს. თუმცა ამ ჯურ ის გადასახადზე ბევრი რამ საწინააღმდეგო ითქმის. მას ბევრი რამ ნაკლი აქვს, ვინაიდგან აქ ფაქტიურათ ირღვევა ის პრინციპი, რომელსაც ჩვენ მოხმარების პრინციპს ვუწოდებდით. ამ ტიპის გადასახადიდან ყველა სახლის პატრონი სარგებლობის დაგვარათ არ იხდის საკანალიზაციო გადასახადს,. შეიძლება ამა თუ იმ ქუჩაზე აშენებულს სახლს მეტი სიგრძის კანალი ჩაუდიოდეს, კანალიზაცია სახლის ჩასწვრივ დიდ ალაგს ხვდებოდეს, მაგრამ ნამდვილათ ამ სახლიდან მიღენილი ნარეცხი—უსუფთაობა—საერთო კანალში ნაკლები მიდიოდეს, ვიდრე მეორე სახლიდან, რომელსაც შედარებით პირველთან, შეიძლება სიგრძით ორჯელ ნაკლები კანალი ჩაუდიოდეს. აქ საჟენობით ან და არშინობით გადასახადი, ცოტა არ იყოს უსამართლობა იქნებოდა. ამას გარდა არსებობს კიდევ სხვა მრავალგვარი გადასახადები, რომლებსაც ღირსებასთან დიდი ნაკლოულევანებაც აქვს, მაგრამ ყველა ესენი სამართლიან გადასახადთან გაცილებით ახლო სდგებიან, ვიდრე სულზე სასანიტარო გადასახადი, რომლის შემოღება ჩვენ ქალაქის თვითმართველობას განუზრახავს. ყველა ეს გადასახადები შეძლების და მოხმარების პრინციპებზე არიან დამყარებული, საზომათ სახლების პატრონთა შეძლება-მოხმარება აქვთ დადებული. ამ წესით სასანიტარო და საჰიგიენო გადასახადი, როგორც ვსთქვით ყველაზე უფრო სამართლიანი და მიზნის შესაფერია; ეს გადასახადი აწვება კისერზე იმას, ვინც უფრო მეტათ სარგებლობს ამ სოცალურ მოწყობილობით, იხდის ის, ვინც ამ გზით გაძვირებულ მამულების და ქირების ფულს ჯიბეში იტენს. მაშასადამე, ქალაქის თვითმართველობა, რომელიც კი ფიქრობს სასანიტარო გადასახადების შემოღებას, უთუოდ ამ მოსაზრებით უნდა ხელმძღვანელობდეს და არა სულზე გადასახადით.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 ივნისი.

### ოსმალეთი.

**სტამბოლი**. შეიხ ვახდეტის მუსულმანთა ასოციაციის მეთაურს და 31 მარტის „პერევოროტის“ მთავარი ხელმძღვანელ იუსუფ ფაშას, მეოთხე კორპუსის ღივიზიის გენერალს და ერზერუმის ყოფილ კომენდანტს, სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა საზღვაო მინისტრმა წინადადება შეიტანა პალატაში გადადებულ იქნას 337000 გირვანქა ფლოტისთვის. პალატამ განიხილა და სანახევროთ მიიღო. აქ მდგარი ფლოტი არქიპელაგისკენ მიდის.

### რუსეთი

**პეტერბურგი**. დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 90, მოკვდა 36, განიკურნა 55, ავათ არის 692.

პეტერბურგის ყველა გაზეთებში დაბეჭდეს ხომიაკოვთან ინტერვიუ. ხომიაკოვი მეტათ კმაყოფილია მოგზაურობით და დიდმნიშვნელობას აძლევს მას. ხომიაკოვი და მისი თანამგზავრები მეტათ გაკვირვებული არიან, რომ ინგლისელები არ იცნობენ რუსეთს, რაიცა იმის მიზეზია, რომ ვაჭრობა ასე სუსტათ მიდის. ამიტომ საჭირო არის სპეციალური მიზნით ინგლისში წასვლა. ხომიაკოვი საჭიროთ სცნობს ინგლისის მსხვილ ცენტრებში რუსულ სავაჭროების გახსნას და აგრეთვე დაარსდეს ინგლისში და რუსეთში განსაკუთრებული კომიტეტები წასვლა-მოსვლის მოსაწყობათ. მისი აზრით ინგლისელების მოსვლა რუსეთში სასურველია და არც დააყოვნებენ მოსვლას.

მინისტრთა საბჭომ განიხილა და საჭიროთ სცნო წარედგინოს უმაღლესათ დასამტკიცებლათ მიწების მომწესრიგებელ გამგეობის წინადადება, მიეცეს კალუგის ერობას 30000 მანათი ბალახის თესვის მოსაწესრიგებლათ გლეხებში. რადგან ხოლერა თანდათან ვრცელდება შინ. საქმეთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა გამოიკვლიონ ქალაქის ნაწილები.

გაზეთ „სლოვო“-ს № 836 კონფისკაცია უყვეს. რედაქტორი ადრიანოვი 128 სტ. ძალით პასუხის გებაში მისცეს.

**პეტერბურგი**. დილის 9 საათსა და 30 წუთზე, ხელმწიფე იმპერატორი პეტერბურგიდან პოლტავისკენ გაემგზავრა. თან ახლავს დიდი მთავრები ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, სერგეი მიხაილის ძე, ბორის ვლადიმერის ძე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სხვანი.

### საზღვარ-გარეთ

**ბერლინი**. გამანი, რომელსაც ცრუ მოწმობას აბრალებდენ გაამართლეს. რეიხსტაგმა უარყო გაზზე და ელექტრონზე ბაჟის დადება, განცხადებებზე და სპიჩკაზე ბაჟი მიიღეს.

**ვენა**. დეპუტატთა პალატაში განაგრძეს საჩქარო წინადადების განხილვა. რამდენიმე დღეა მოლაპარაკება აქვთ ობსტრუქციონისტების პარტიებთან წაიღონ უკან თავიანთი წინადადებები, რომ შესაძლებელი იქნეს გაატარონ ბალკანეთის სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულების პროექტი.

იმპერატორმა ინახულა ვეკერლე და მიანდო სამინისტროს ხელახლა შედგენა. ამგვარათ ვენგრიის კრიზისის გადაწყვეტა გადაიდო შემოდგომამდე.—ქრისტიანთა სოციალისტი ლიუეგერი თავის ორგანო „რეიხსპოსტში“ სასტიკათ კიცხავს ერენტალს ამ ამბის გამო. მისი სიტყვით ამ საკითხის გადაწყვეტის გადადება ბევრ შანსს აძლევს დამოუკიდებელ პარტიებს.

**ლონდონი**. სახელმწიფოს დუმის და საბჭოს დეპუტატები დაესწრენ ქ. გენლში ნაოსანთა გაჯიბრებას. ქალაქის მერმა ადრესი მიართვა. სტუმრებს „გაუმარჯოს რუსეთ“-ს ძახილით შეეგება ხალხი. წასვლის დროს დუმის წევრები შემდეგ წერილს მოათავსებენ ინგლისის გაზეთებში: „რადგან ახლოვდება ის დღე, როცა ჩვენ საბოლოოთ უნდა დავსტოვოთ ინგლისი, ამიტომ მოგმართავთ თქვენ თხოვნით მიიღოთ ჩვენი გულწრფელი მადლობა იმ მზრუნველობისათვის, რომელიც, თქვენ გამოიჩინეთ ჩვენი აქ ყოფნის დროს. ჩვენ ვიცით, რამდენი შრომა იყო საჭირო, რომ პროგრამის ყველა ნაწილი ასე კარგათ გათავდა, მაგრამ ყველაზე მეტათ ჩვენ გვახარებს ის გარემოება, რომ ყველა ეს შრომა ჩვენი და ჩვენი ქვეყნის კეთილ სურვილების გამომხატველი იყო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შეძლება მოგვეცემა ოდესმე, ჩვენც დაგიმტკიცოთ ჩვენი თქვენდამი გულწრფელი სიყვარული. ჩვენ დარწმუნებული ვართ აგრეთვე, რომ თქვენი ასეთი შეხვედრა ერთი საუკეთესო გზაა ჩვენს დასაახლოებლათ“. ხელს აწერს ხომიაკოვი და დუმის და საბჭოს წევრნი.

# უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი

**ალბანია დაცხრა**. ალბანელები როგორც იქნა დაწყნარდენ და ოსმალეთის მთავრობას შეურიგდენ. „ნ. რ.“ სიტყვით ალბანელების 80 პროც. ამ ჟამათ დჯევათ-ფაშას მიემხრო. დჯევათ-ფაშამ ალბანელების გული უმეტესათ თავის რაინდობით მოიგო. როცა ის რომელიმე სიმაგრეს აიღებდა, ჯერ თავაზიანათ წინადადებას აძლევდა ქალებს და ბავშებს თუ სურდათ გასულიყვენ, ხოლო შემდეგ თავს მოუყრიდა ყველა ბელადებს და კი არ ხოცდა, როგორც ეს ხდებოდა ხოლმე ჰამიდის დროს, არამედ უმტკიცებდა მათ, რომ ხარკის გადახდა აუცილებელია სახელმწიფოსათვის. ამ გვარი მოპყრობით დჯევათ-ფაშამ იმას მიაღწია, რომ ალბანელები თვითონ ადევნებენ თვალყურს ხარკის წესიერათ მოკრებას.

**„დაშნაკცაკანების“ განცხადება**. სტამბოლის ადგილობრივი კომიტეტი აცხადებს, რომ [illegible] მოკლებულია გავრცელებული ხმები, ვითომ სომხები სტამბოლში არეულობის მოხდენას აპირებდესო.

**ომის მოლოდინში**. გაზეთების ცნობებით ბევრი ბერძნები ოსმალეთიდან საბერძნეთში მიდიან და ჯარში ეწერებიან.

**მდგომარეობა კრიტოსზე**. ამ დღეებში ადესაში მოვიდა გემი „იმპერ. ნიკოლაი“, რომელსაც სხვათა შორის სუეცის ბოლოზში შეუარია კრიტოსის კუნძულზე. ერთ გემზე მყოფს „რ. ს.“ კორესპონდენტისათვის შემდეგი უთქვამს: კრიტოსის მცხოვრებნი მეტათ თავ-აღებული არიან და გამომწვევ პოზიციაზე დგანან. ისინი მოუთმენლათ მოელიან უცხოელი ჯარების გასვლას, რის შემდეგაც კუნძულს საბერძნეთთან შეერთებულათ გამოაცხადებენ. ბერძნები აცხადებენ, რომ ისინი არაფრის წინაშე არ შედგებიან და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ. მთელ საბერძნეთში შემოწირულებას კრეფენ აჯანყების მოსაწყობათ. შემოაქვთ მრავალი იარაღები და სხვა საომარი მასალები. ბერძნებს იმედი აქვთ გერმანიის დახმარების. მუსულმანები ძალიან აღელვებული არიან და კურძულს სტოვებენ. მოელიან, რომ საერთო ხოცვა-ჟლეტა მოხდებაო. თუ ვინცობაა ომი ატყდა ოსმალები ეცდებიან ათინის ხელში ჩაგდებას. საბერძნეთს ძალიან უშლის ხელს ფლოტის უყოლობა. რუსეთის მეზღვაურებს გზაში ოსმალეთის ფლოტი უნახავთ, რომელიც მანერებს აკეთებდა. ფლოტი მზათაა და ყოველ წუთში შეუძლია კრიტოსისაკენ გაქანდეს. საერთაშორისო ჯარები უკვე წასასვლელათ ემზადებიან.

### რუსეთი.

**აზნაურების გადაშენება** სარატოვის გაზეთები იუწყებიან: ადგილობრივმა სამაზრო საერობო გამგეობამ დაამთავრა გამგეობის ახალი წევრების ამრჩეველთა სია. ამ სიიდან სჩანს, რომ მემამულე ცენზიანი თავად-აზნაურნი ითვლებიან მხოლოთ 60-დან 10 ქონებრივი ცენზის პატრონი. თუ რამდენათ შემცირდა მემამულე თავად-აზნაურთა რიცხვი ეს სჩანს იქიდან, რომ წინანდელ არჩევნებზე, 1906 წელს მათი რიცხვი 100 აღემატებოდა. ასე რომ სამი წლის განმავლობა-

## ვთქვათ—ის ღრუბელი საქართველოა...

ვთქვათ—ის ღრუბელი საქართველოა,
ცაზე რომ ცოცავს საცოდავათა,
კრძალვით ემართვის აღმოსავლეთით,
ვით მწირი საკნათ, სალოცავათა!
მერე,—საითკენ მიეჩქარება?
მზე ღრუბლებშია, ჯერ არ გამოვა,—
მანამ კი იქნებ მწუხარებისვან
ის ცრემლათ დადნეს—წვიმათ წამოვა!
ქარი ჰკვნესს, გმინავს,
ზღვა ცოფს ჰყრის, დრტვინავს.
ცა წარგრაგნულა,
განრისხებულა,
თითქოს საომრათ
განმზადებულა.

* * *

აი—მეორე: ახოვანათ მოგოგავს ცაზე,
წინ ვიღაც უძღვის საქმიანის თითქოს სახითა;
ალბათ ამ ლაშქრის ბედიღბალი უნდა განაგოს
და გამარჯვება უნდა ჰპოვოს ცბიერ მახითა!
მეორე მხრითაც ერთსულოვნათ ირაზმებიან,
ქარის საყვირზე თითქოს ბრძოლათ ემზადებიან,
თითქოს საზღვრებზე ერთმანეთსა ედავებიან.
აი, იქ ზღვაცა და ხომალდნიც თითქოს სჩნდებიან!..
მზვერავი რაზმნი—აი—მთებზე იმალებიან,
ხიდთა ანგრევენ და ყველანი იღუპებიან.
ქვეითა ჯარი, ცხენოსანნი—ყველა მზათ არის.
აი ეტლიცა და ცხენები მხედართ მთავარის!
იელვა კიდეც! კადნიერმა ვინ გაისროლა?
ვინ ჩამოაგდო ძმათა შორის შური და ძრწოლა?
ვინ გადაჰკიდა ერი ერსა, ვინ დაამდურა?
იგრგვინა კიდეც, თითქოს ომი დაადასტურა!..

* * *

ის კვლავ მიცოცავს,
ჭირით გზას იკვლევს,
გაჭირვებასა
აღარათ იმჩნევს...
ქარი ჰკვნესს, გმინავს,
ზღვა ცოფს ჰყრის, დრტვინავს.
ცა წარგრაგნულა,
განრისხებულა,
მედგარი ომი,
გაჩაღებულა!..

* * *

თვალს არ გარიდებ, ჩემო პატარავ,
გული მიკვდება შენს შემხედვარეს,
ტანჯულ ცხოვრების შავსა მწუხრამდე
გავედრებ მზესა, გავედრებ მთვარეს.
გზა გაგინათონ დღითა და ღამით,
აღარ წააწყდე ხიფათსა რამეს,—
გზა სწორი ჰქონდეს შენს ობოლ ნავსა
ბრწყინვალე დღისით თუ წყვდიად ღამეს.

* * *

ცელქმა ნიავმა მზეზე გიმღეროს,
მოავე ვინმე არ დაგიმტეროს.

* * *

ქარიშხალი კი დაუძინებლათ
მოჭირისუფლეთ გევლოდეს თავსა,
და განსაცდლის ჟამს ყიჟინა დასცეს,
ფრთები შეასხას შენს ობოლ ნავსა!..
ვისაც უყვარხარ, შენს მომავალს სჭედს,—
ის კვლავ განიცდის ცხოვრებას მწარსა,
იმისი ტრფობა სხვისგან ირჩევა.—
მეც მარად გიმღერ, ვაჟღერებ ჩანგსა
და გულს ავუძგერ შრომისა შვილებს,
რომ მისცემიან დროებითს დარდსა!
ცხოვრების მწუხრზე—უკანასკნელათ
მტრულათ შევხედავ შენს მომტრე ძალებს,—
გზას დაგილოცავ „სინათლისაკენ“—
და საუკუნოთ დავხუჭავ თვალებს!

**იასამანი.**

## საპყრობილეში.

### 1. ყოველ-დღიური.

ქალაქი №-ც ზღვის ნაპირას არის გაშენებული, როგორც ჩემი საპყრობილე, იქაც ისე ვგრძნობდი თავს, როგორც სატუსაღოში და ამიტომ სწორეთ ის მაგონდება ეხლა მე... აი ის იშლება ჩემ თვალ წინ მთელი თავისი სიგძე-სიგანით, მისი ქუჩებით, დაბალი სახლებით, მრავალი მღვდლებით, რამდენიმე ეკლესიით, ქაობებით, ბაყაყებით, კოღოებით, ჯორებით და დასავლეთით გაწოლილი შავი ზღვით.

იქ ყველაფერი ჩვეულებრივია. როგორც საზოგადოთ ქალაქებს, №-საც ყავს ქალაქის თავი, პოლიცმეისტერი, ბოქაულები, პოლიციელები. როგორც ყოველგან იქაც იბადებიან და კვდებიან. ახალგაზდები იქაც არშიყობენ, უცხადებენ ერთმანეთს სიყვარულს, ცოლები ატყუებენ ქრმებს, ქრმები ცოლებს, ვაჭრები მუშტრებს, მღვდლები მრევლს და მრევლი კიდევ ერთმანეთს. როგორც ყოველგან იქაც ხშირათ ხდება, რომ სიყვარული კანონიერი ქორწინებით თავდება („თუ ქალი ჰკუით დახვდება, ახალგაზდა ვერ გაექცევა“—ამბობენ №-ში), მაგრამ ხდება ისიც, რომ შეყვარებულები ვერ ითმენენ, სანამ მღვდელი აკურთხებდეს მათ კავშირს აღკრძალულ სიამოვნებას ეძლევიან, რის შედეგათ „ტარიელი“ აუცილებლათ უარს ეუბნება თავის „ნესტანს“ და თავის საქციელს შემდეგი შეურყეველი, მამა-პაპისაგან გადმოცემული და მუდმივ ჭეშმარიტებათ აღიარებული საბუთით ამართლებს:

—თუ მე შევაცდინე, ვინ არის თავდები, რომ სხვაც არ შეაცდენს, თუ მე მენდო, სხვასაც ენდობა... მტერს ასედი ცოლი!

ვინც ამ ჭეშმარიტებაში ეჭვს შეიტანს იმას ეუბნებიან:

—რაკი არ გჯერა ღმერთმა მოგახმაროს... წადი შეირთე, შვილი ადრე მოგესწრება და გვერდში ამოგიდგებაო.

იცინიან ამ მოსწრებულ სიტყვაზე და მიდიან თავის გზით, მოტყუებული ქალის მშობლები კი ცდილობენ საჩქაროთ „გაასაღონ“ „გაბახებული“ გოგო, საჩქაროთ მიაჩეჩონ ხელში ვინმე შორებელს, სულ ერთია ბრმა იქნება ის თუ კოჭლი... ხანდახან კი ისიც ხდება, რომ მოტყუებული მიიპარება ღამით მშობლების ოჯახიდინ და წყალს აძლევს თავს. გასაკვირალი ასეთ შემთხვევაში ის არის, რომ არც ერთ თავის მკვლელს აზრათაც არ მოსვლია ჯერ შავ ზღვას მისცემოდა, ვარდებიან ამყრალებულსა და ბაყაყებით სავსე მდინარეში, რომელიც მთელი ქალაქის სიბინძურეს ინელებს. თითქო შავი ზღვის ცელქი და გიჟმაჟი ტალღები არ იყვენ ღირსნი გულში ჩაიკრან და მოასვენონ შეურაცხყოფილი, დასჯილ-დაქანცული და დატანჯული ადამიანი! იხჩობს თავს მოტყუებული და ეს გარემოება რამდენიმე დღეს აღელვებს პაწია ქალაქ №-ს. იწყება მითქმა-მოთქმა, ათასნაირათ სჯიან და ამართლებენ სიყვარულის მსხვერპლს, ქალიშვილები წყევლიან მატყუარა ახალგაზდებს, ახალგაზდები, რა თქმა უნდა, ეთანხმებიან ქალიშვილებს, ისინი ამტკიცებენ, რომ ნდობა არ უნდა დაარღვიოს ახალგაზდა კაცმაო. (ამ სიტყვებზე ისინი მრავალმნიშვნელოვნათ შეხედვენ მოსაუბრე ქალიშვილს). თუ ვინმე მენდო (ისევ მრავალ-მნიშვნელოვანი შეხედვა) იმას არც კი ვუღალატებო. გასათხოვართა დედები ამ მაგალითზე უთითებენ თავიანთ ასულებს—ფრთხილათ იყავით, ხომ ხედათვ-ეშმაკს არ სძინავსო.,. რამდენიმე დღის შემდეგ ცხოვრება ისევ დგება ძველ კალაპოტში, ცოლები კვლავ ატყუებენ ქმრებსა, ქრმები ცოლებს, ვაჭრები მუშტრებს, მღვდლები მრევლს და მრევლი, თუ შეიძლო, მღვდლებს... ისევ უცხადებენ ახალგაზდები ერთმანეთს სიყვარულს, ისევ თავდება ხშირათ სიყვარული კანონიერი ქორწინებით და აგრეთვე დატყუებითაც.·. ისევ იწყება ძველებური გართობა-სტუმრობა-გამასპინძლება. ისევ გამოაქვს დიასახლისის გასათხოვარ ქალს იაფ-ფასიანი* ადეკალონის სუნით გაჟღენთილი ალბომი, რომელსაც აჩეჩებს ხელში სტუმარ ახალგაზდას და ეუბნება:

—ჩამიწერეთ ალბომში „სტიხი“...

—დამცინით „ბარიშნა“, სადაური პოეტი ვარ მე.

—კარგი ერთი, ნუ ვ·რობთ... სონიას ალბომში თქვენი ჩაწერილი არ არის „სტიხი“. უარი არ გაგივათ ჩემთან.

დიდხანს კიდევ ყოყმანობს სტუმარი, შემდეგ კი სწერს რაიმე ლექს, დიდი ვაი-ვაგლახით დაზეპირებულს ამ მიზნისთვის.

თვითეულ გასათხოვარს თითო ისეთი ალბომი აუცილებლათ აქვს, ხოლო თვითეულ ქუჩას ამ ალბომის შესაფერი პოეტი, რომლებიც უმოწყალოთ ავსებენ ამ ალბომებს თავიანთი თუ სხვისი მუზის ნაამბობით. უმეტეს შემთხვევაში ასეთ სახელგანთქმულ ლექსებს შეხვდებით შიგ:

Альбомъ сей прекрасенъ, я съ этимъ согласенъ და სხ. ყველაზე უფრო სახელგანთქმული პოეტი №-ში არის ვინმე ნოე ალმასხანიძე, უკიდურესი პატრიოტი და ჭეშმარიტი ქართველი, რომელიც წინააღმდეგია რუსული ლაპარაკის და რომელმაც ერთხელ ასე მიმართა ერთ გარუ·ებულ ახალგაზდას:

—კაცი რომ ქართულში რუსულს გამოურევს терпѣть не могу დედა ჩემი მიცხონდება!

ეს „პოეტი“ იმით განირჩევა სხვებისგან, რომ ალბომებში სწერს ქართულათ აკაკის ლექსებს, ხოლო ქვეშ თავის საკუთარ სახელსა და გვარს აწერს. არის რამდენიმე პირი №-ში, რომელთაც იციან, რომ არსებობს განთქმული პოეტი აკაკი წერეთელი, იციან აგრეთვე რომ ნოე ალმასხანიძის ლექსები ეს აკაკის ლექსე-

ში 40-ზე მეტი თავად-აზნაური უმამულოთა კატეგორიაში მოქცეულა.

**„სოიუზნიკების“ პროკლამაცია.** „ჭეშ. რუს. კავ.“ ვოლინის განყოფილებამ პროკლამაცია გამოუშვა შემდეგი სათაურით: „აღსდექით ვოლინელებო და დაიცავით წმინდა მართლმადიდებლობა“. პროკლამაციაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ სახელმწ. სათათბირომ „ჟიდების“, პოლონელების, მუსულმანების და всякая сволочи-ს ხმების უმეტესობით დაადგინა გაუთანასწოროს მუსულმანობა „ჟიდობა“ წარმართობა და კერპთ-თაყვანის მცემლობა მართლმადიდებელ სარწმუნოებას. აღსდეგით ქრისტიანებო და დაიცავით სარწმუნოება წაბილწვისაგან. მიმართეთ ხელმწიფეს, რომ არ შეიწყნაროს დუმის დადგენილება.

**მეორე დუმის ყოფილ წევრების მდგომარეობა.** სატუსაღოს გამგეობამ განკარგულება მოახდინა მეორე დუმის ყოფილი დეპუტატები კატორგის წესებს დაემორჩილოს. სალტიკოვს, ზურაბოვს და ჟდანოვს, „ბაქოს“ სიტყვით, უკვე დააჭეს ბორკილები. იმავე გაზეთის ცნობით წერეთლის და მახარაძის ჯან-მრთელობა ცოტათი გაუმჯობესდა.

# ახალი ამბები

**საგანგებო კომისიის თათბირი.** ნამესტნიკის თანაშემწის სენატორ მიცკევიჩის თავმჯდომარეობით ამ ჟამათ მუშაობს საგანგებო კომისია, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სამოსამართლო ნაწილის და სხვა მთავრობის დაწესებულებათა წარმომადგენლები. კომისიამ უნდა შეიმუშაოს სამოქალაქო დებულების ახალი პროექტი ადგილობრივ საჭიროებათა თვალთახედვით. კომისიის მოსაზრებები წარედგინება იუსტიციის მინისტრს, რომელსაც მზათ ჰქონია ამ საკითხის შესახებ კანონ-პროექტი სახელმწიფო დუმაში წარსადგენათ („კ“).

**გორის საოსტატო სემინარია.** როგორც „კ.“ გადმოგვცემს საბოლოოთ გადაწყვეტილი ყოფილა გორის საოსტატო სემინარიის თფილისში გადმოტანა. ამ დღეებში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მიმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა სემინარიის შენობის ასაგებათ ქალაქის მიწის უფასოთ დათმობა. გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტა სემინარიას შენობის ასაგებათ ქალაქის განაპირა მამულში დაუთმოს სამი დესიატინა მიწა.

**ჩვენმა რედაქციამ** ოზურგეთიდან მიიღო 40 კაცის მიერ ხელმოწერილი პროტესტი ბ. თემის თოკლეს კორესპოდენციის გამო, რომელიც ჩვენს გაზეთში იყო ამას წინეთ მოთავსებული. საპროტესტო წერილში სხვათა შორის სწერია: „ჩვენ ვაცხადებთ, რომ გარდა ხულიგანებისა სახალხო საქმეებში ხელის შემშლელი არავინაა, ყველა ცოცხალი მოქმედებსო და სხვ.“. ჩვენ დიდათ მოხარული ვიქნებით, თუ მართლა ყველა საქმიანობას გამოიჩენს, მარა არსებულის კრიტიკული განხილვა, როგორც წერილის ავტორნი სწერენ, საჭიროა და ჩვენც ვასრულებთ ამას.

**თფილისის გუბერნატორი** სამსახურის საქმეების გამო დუშეთის მაზრაში გაემგზავრა.

**ჯარის გაგზავნა სპარსეთში.** როგორც მოხსენებული გვქონდა ამ ჟამათ ბაქოდან ენზელში (სპარსეთში) მთავრობის განკარგულებით ჯარის ახალი რაზმი იგზავნება. „ბაქოს“ სიტყვით, ვინაიდან ბაქოს სადგურის კომენდანტი ჯარის ნაწილების მოწყობას ვერ ასწრობს, ჯარების გადაგზავნის უფროსს დეპეშით გაუწვევია თფილისიდან სადგურის კომენდანტი შტაბს-კაპიტანი პლოტნიკოვი.

**ციხეების უმთავრესმა** სამმართველომ 7,000 მ. გადასდო თფილისის გუბერნიაში არსებული ციხეების შესაკეთებლათ. ამავე თანხიდან უნდა დაფარონ ციხეების შესაკეთებლათ წინეთ აღებული ვალი. არავითარ შემთხვევაში მეტი ხარჯების გაწევა არ შეიძლება.

**ბ. სემიონოვის წერილი მასწავლებელ მ. ხოჭოლავას შესახებ.** ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორ ბ. სემიონოვს „Закавказье“-ს 113 ნომერში დაუბეჭდავს წერილი. ამ წერილით ის მუხლ-მუხლათ არღვევს ყველა იმ ცილის-წამებას და ბრალდებას, რომელიც წამოყენებული იყო ხოჭოლავას წინაღმდეგ „Закавказье“-ს 103 ნომერში. საკვირველია, რომ სენაკელ კორესპონდენტს ამდენი ტყუილი ფაქტები შეუთხზავს—ეჭვი არაა, კერძო ინტრიგობით და გულღვაძლიანობით. მარა დღეს ხომ გამოუმჟღავნებელი არ დარჩება ასეთი ლიტერატურული შანტაჟი.

**სახალხო სახლში** დღეს, 26 ივნისს მოსკოვის სამხატვრო თეატრის სარეჟისორო კლასების მოწაფე ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნება გ. დ'ანუნციოს პიესა: „იორიოს ასული“. ეს პიესა ქართულათ პირველად მიდის. იგი მეტად საინტერესო საკითხს ეხება, საკითხს ბარბოსა და კერძო პიროვნების ურთიერთობის შესახებ. საინტერესოა ეს წარმოდგენა იმითაც, რომ მას დგამს ახალგაზრდა რეჟისორი სრულიად ახალგაზდა სცენის მოყვარეთა დახმარებით. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. დასასრულ გაიმართება კონცერტი ახალგაზდა მომღერალთა, მცეკვავთა და მკითხველთა მონაწილეობით. ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარ შეუშვებენ საზოგადოებას. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენია.

**ხონის საოსტატო სემინარიაში** მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 ავისტოდან. თხოვნები ყოველგვარი საბუთებით უნდა წარდგენილ იქნას 15 აგვისტომდე. პირველ კლასში წელს თავისუფალი ადგილი არ არის. თავისუფალი ადგილია მხოლოდ მოსამზადებელ კლასში —მიიღებენ 22 კაცამდე—6 სახელმწიფო ხარჯით და 16 თავის ხარჯით. იმ 6 კაცში, რომელთაც სახელმწიფო ხარჯით მიიღებენ, ერთი უნდა იქნეს აფხაზი და ერთიც სვანი. გარედან მოსიარულეთათვის სემინარიაში თავისუფალი ადგილი არ იქნება.

**ბაქოს ნავთის წარმოების მუშათა საზოგადოების** გამგეობას 20 ივნისის სხდომაზე დაუდგენია არავითარი ცნობები არ მისცენ და არც სხდომის ოქმები წააკითხონ გაზ. „ბაკუს“ და „კასპის“ რეპორტიორებს, ვინაიდან ხსენებულ გაზეთებს ამ უკანასკნელ ხანებში მეტათ მტრული პოზიცია დაუჭერიათ მუშების მიმართ. ამასთანავე, გამგეობას გამოუთქვამს სურვილი, რათა ყოველივე ცნობები „საზოგადოების“ ცხოვრებიდან მოთავსებულ იქნას გაზ. „ბაკინეც“-ში.

**ცილისწამებისათვის**, როგორ მოხსენებული გვქონდა, ავლაბრის სავაჭრო პროგიმნაზიის დირექტორმა იაკ. ს. ღულაძემ პასუხისგებაში მისცა პატრიოტების გაზეთის—„რუსსკი კავკაზის“ რედაქტორი. ამ დღეებში მეორე მომრიგებელი განყოფილების გამომძიებელმა მიიწვია, როგორც ბ. ღულაძე ისე ხსენებულ გაზეთის რედაქტორი და წინადადება მისცა მორიგებით გაეთავებიათ საქმე, მარა ვინაიდან ეს ბ. ღულაძემ არ ისურვა, საქმე საოლქო სასამართლოს გადაეცა.

**ვაკეს ქუჩების გაკეთება.** წყნეთის ქუჩის ბოლოდან ქალაქის გამგეობის განკარგულებით უკვე შეუდგენ ვაკეს უმთავრესი ქუჩის გაკეთებას.

**ახალი ამხანაგობა.** თ. ლ. ჯანდიერმა, გენ. ყაზბეგმა, ს. ფერნაძემ და სხ. სულ 16 პირმა შუამდგომლობა აღძრეს კავკასიის უმაღლესი მთავრობის წინაშე, რათა ნება დაერთოთ მათ შეადგინონ მეცხვარეობის და პირუტყვთა მომშენებელი ამხანაგობა.

**ქალაქის სააუქციონო დარბაზის** გამგემ ბ. ყიფიანმა, როგორც ამას წინეთ მოხსენებული გვქონდა, ცირკულიარი დაუგზავნა რუსეთის სავაჭრო სხვა და სხვა ფირმებს იმის შესახებ, თუ ისინი თანახმანი იქნებოდენ სააუქციონო დარბაზი მათ მიერ თფილისის სადგურზე გამოგზავნილ დაუხსნელ საქონელს საჯარო ვაჭრობის დროს სააუქციონო დარბაზი დაირჩენდა და შემდეგ მათ გადასცემდა. ქალაქის გამგეობამ განიხილა ხსენებული ცირკულიარი უკანასკნელ სხდომაზე და იმ დასკვნამდე მავიდა, რომ ბ. ყიფიანს არ ქონდა უფლება ასეთი ცირკულიარი გამგეობის და საბჭოს დაუკითხავათ გამოეცაო.

**პოლიცმეისტერმა წინადადება** მისცა ქალაქის გამგეობას, რათა ზომები იქნას მიღებული ქალაქის სავაჭრო მოედნები, ქუჩები და სხვა ადგილები, სადაც ფეხზე ვაჭრობა სწარმოებს იმავე დღეს იქნას დასუფთავებული, რა დღესაც ვაჭრობა სწარმოებს, რისთვისაც გამგეობამ საჭირო თანხა ეხლავე გადასდოსო. გამგეობამ განიხილა პოლიცმეისტერის წინადადება და შესაძლოთ ვერ სცნო ამ საქმისათვის დამატებით 1500 მან. გადიდება.

**„მაუზერი“.** 24 ივნისს ორთაჭალაში მნაცაკანოვის შესახვევში დააპატიმრეს ქ. ახალციხის მცხოვრები მარტიროზ ზახარიანცი, რომელსაც „მაუზერის“ რევოლვერი აღმოაჩნდა.

**სხვადასხვა ამბები.** 24 ივნისს დააპატიმრეს ქუთაისის მაზრის მცხოვრები ილია ბრეგვაძე და გორის მაზრის მახეილ ბაშიევი, რომელთაც ბრალდება 24 ივნისს, საღამოს 9 საათზე ვოგზლის ქუჩაზე მიმავალ ალ. ხითაროვისთვის ჩემოდნის წართმევა, რომელშიაც ყოფილა 25 მ. ღირებული სხვადასხვა ნივთები.

— 25 ივნისს ვორონცოვის ქუჩაზე დააპატიმრეს სიღნაღის მაზრის მცხოვრები პეტრე გიკორაშვილი, რომელსაც ქალაქში მოჰქონდა ურმით 6 ფუთი ახლათ დ ჭურილი თევზი. გიკორაშვილს თევზი მტკვარში დაუჭერია აკრძალულ ადაგას რისთვისაც პასუხის გებაში მისცემენ.

## აღვადგენთ თუ არა კვლავ პროფ. კავშირებს.

### წერილი III

რომელმა, ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულმა მუშამ არ იცის დღეს, რომ დღევანდელ კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულ წყობილებაში, მუშათა მოძრაობა თავის უმთავრესი მიზნის—სოციალიზმის მისაღწევათ ორ უმთავრეს ორგანიზაციაში—პოლიტიკურ და ეკონომიურში იხატება! პირველი აწარმოებს უმთავრესათ პოლიტიკურ ბრძოლას და მით ხელს უწყობს პროლეტარიატის პოლიტიკურათ გამოფხიზლებას; მეორე აწარმოებს უმთავრესათ ეკონომიურ-პროფესიონალურ ბრძოლას და მით ხელს უწყობს პროლეტარიატის ეკონომიურ (ნივთიერათ) აღორძინებას. მხოლოდ ორივე ერთად კი „ორი სხვა და სხვა მხარეა ერთი და იგივე მედალის—მუშათა კლასის კაპიტალისტურ ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლის“! აი ამიტომ მუშათა კლასის წმინდა მოვალეობაა მჭიდრო კავშირი განამტკიცოს ამ ორ სხვა და სხვა ფორმის ორგანიზაციებ შორის. პირველათ—პოლიტიკური ორგანიზაციის გატაცებით არ დაივიწყოს მეორე და მეორეთ—ეკონომიურ ორგანიზაციის გატაცებით არ დაივიწყოს პირველი. თუ როგორ განწყობილებაშია ეს ორი ტიპის ორგანიზაციები სხვადასხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, ამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მაგალითისათვის ორი უმთავრესი ინდუსტრიალური სახელმწიფონი. პირველი გახლავთ ინგლისი—მეორე გერმანია. ინგლისში ეკონომიურ ბრძოლით გატაცებამ მართლაც დაავიწყა მუშებს პოლიტიკა. თუმცა დღეს, როცა კლასობრივი დამოკიდებულება გამწვავდა პროლეტარიებს და ბურჟუაზიის შორის, იქაც გაეღვიძა მუშებს სიმპატია პოლიტიკურ-სოციალისტურ ორგანიზაციებისადმი.

სულ სხვაა გერმანია! ის სანიმუშო ქვეყნათ იქცა ამ მხრით. აქ არას დროს პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციები ერთი-მეორეს კონკურენციას არ უწევდენ; არას დროს ისინი არ გათიშულან, პირიქით ისინიც მუდამ ერთი-მეორეს დამატება იყვენ და მით ხელს უწყობდენ გერმანიის მუშათა კლასის გოლიათისებურ ბრძოლას ერთი მხრით „რკინის კანცლერ“-ბისმარკის და გაერთიანებულ „იუნკრების“—მემამულეების რეჟიმისა და მეორე მხრით ახალ ფეხ ადგმულ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მათ პირველათვე სწორ ნიადაგზე შეაყენეს გერმანიის მუშათა მოძრაობა, რომელიც დღესაც ასე მწყობრათ, თავდაჭერილათ მიმდინარეობს და მთელი მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობის ტონის მიმცემი გამხდარა... გერმანიის მაგალითები მით უფრო საჭიროა რუსეთის პროლეტარიატისთვის, ვინაიდან აქ ეს ესაა საფუძველი ეყრება მუშათა კლასობრივ ორგანიზაციებს, რომლების საშუალებითაც პროლეტარიატი აპირებს საკუთარი პოლიტიკით გამოსვლას სახელმწიფოში! პროფესიონალურ კავშირების განმტკიცება და მათი სწორ გზაზე დაყენება მით უფრო საჭიროა დღეს, ვინაიდან აქ, რუსეთში თავი იჩინა და დღითი-დღე მრავლდება ათასგვარი სხვადასხვა ანარხო-სინდიკალისტური ჯგუფები და ასეც რომ არ იყოს, რა მოელის პროლეტარიატს, თუ გინდ კონსტიტუციის დამყარების შემდეგ? ნუ თუ გაბატონებული ბურჟუაზია, რომელიც დღეს ასე თუ ისე მასთან ერთათ იბრძვის სტოლიპინის რეჟიმის წინააღმდეგ, მასთან კავშირს არ გასწყვეტს? პირიქით, ახლათ გაბატონებული ბურჟუაზია შეეცდება ლაგამი ასდოს „გათამამებულ მუშათა კლასს“. იგი ახლაც ცდილობს მის „გადამეტებულ მოთხოვნებს“ საზღვარი დაუდოს და თავის ზომიერებას დაუმორჩილოს. აი, ამიტომაა კლასობრივი აღზრდა და კლასობრივი ორგანიზაციები მუშათა კლასისათვის საჭიროა, რომ ისინი ამ შემთხვევაშიაც გამოიყენოს და ბურჟუაზიასთან შეჯახებული ბრძოლით თავის უფლებები დაიცვას და ერთხელ და სამუდამოთ თავი დააღწიოს მის მაჩანჩალობას.

ყველა ამ მოსაზრებებით, რუსეთის პროლეტარიატის წმინდა მოვალეობაა ფხიზლათ და ენერგიულათ მოეკიდოს კავშირების იდეას და გააკეთოს ამ ნიადაგზე ყველაფერი, რის გაკეთებაც კი შეიძლება დღევანდელ პირობებში. თუმცა არც ისე შეგვიძლია უსაყვედუროთ ჩვენ ამ მხრით პროლეტარიატს. ის შეძლების დაგვარათ დღემდისაც მუშაობდა ამ ნიადაგზე და დღესაც განაგრძობს მუშაობას

მან ჯერ კიდევ 1905 წლიდან იწყო ამ სფერაში მუშაობა და 1907 წელს ერთი რუსული გაზეთი, ვგონებ „ტოვარიში“ სწერდა: დღევანდელი ხანა რუსეთის პროფ. კავშირების აყვავების ხანააო. მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ეს „ხანა“ ძლიერ უხანო გამოდგა და 1908 წლის მიწურულში კავშირებს თანდათან ძირი გამოეთხარა და ბევრმა,—თითქმის უმრავლესობამ სულიც დალია... რა იყო ამის მიზეზი?—რეაქციაო—იტყვიან ერთნი. კრიზისებიო—დასძენენ მეორენი. პირველიც და მეორეც ერთათ აღებული ვიტყვით ჩვენ, მხოლოთ მას თან დავძენთ: მუშათა პოლიტიკური მოუმწიფებლობა და ეკონომიური ბრძოლის ტაქტიკაში სრული გამოუცდელობა: დღემდის მუშათა კლასის ხელმძღვანელ წრეებში კიდევ ვერ გამტკიცებულა ერთი საზოგადო შეხედულება პროფ. კავშირების შესახებ, დღესაც მათში ერთგვარ ოპორტიუნიზმს ხედავს „გაკაჟებულთა“ ფრაქცია. ისინი დღესაც ვერ შერიგებიან უპარტიო პროფ. კავშირებს! და რა არის თუგინდ კითხვის ასე დაყენება, პარტიული და უპარტიო კავშირები, თუ არა იგივე დაპირდაპირება პოლიტიკურ და ეკონომიურ ორგანიზაციების, დაპირდაპირება ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლის?.. თვით ასეთი დაპირდაპირება ყოვლათ შეუწყნარებელია და ამას ყველა მუშა უნდა ებრძოდეს!

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს „გაკაჟებულთა“ ფრაქცია საგრძნობელ ძალას წარმოადგენდა დღემდის, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დაბრკოლებებს განიცდიდა კავშირების იდეა შინაურ მიზეზების გამო! მხოლოთ დღეს ეცლება თანდათან მათ ანარქისტულ გავლენას ნიადაგი და ჩვენ თვალ-წინ დღითი-დღე მრავლდება კავშირები, კოოპერატივები და სხვადასხვა მუშური დაწესებულებანი. და აი, რაც მალე დააღწევს თავს პროლეტარიატი „მათი“ და აგრეთვე მათი „მემარცხენე ძმაბიჭებისაგან“, ე. წ. ოტზოვისტებისაგან, მით უფრო სწრაფათ აშენდება და გამტკიცდება პროფ. კავშირები და დამყარდება სწორი პოლიტიკა მათ შესახებ.

ამ მხრით ამ ბოლო დროს დიდი ნაბიჯი გარდასდგა პეტერბურგის და მოსკოვის მუშებმა, სადაც „გაკაჟებულთ“ თავის სამეფო გონიათ, დიდი როლი ითამაშეს ბაქოს მუშებმაც!

**უმუშევრათ დარჩენილი.**

(შემდეგი იქნება).

## რედაქციისაგან

ჩვენი გაზეთის რედაქცია აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ თუ უნდათ 1-ლ ივლისიდან გაზეთი ეგზავნებოდეთ, ხვედრი ფულის შემოტანა დააჩქარონ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით:** тифлисъ, типографія „Сорапань“ **Семену Ивліановичу Цхомелидзе.**

## პროვინცია

### ქართლი.

**დ. ხაშური.** ამ ორი კვირის წინეთ ხაშურლებს მოევლინა მთავრობის მამასახლისი —ს. ხატიაშვილი (ლეკია), რომელმაც თავისი მოქმედებით მთელი საზოგადოება აალაპარაკა. ამ გაუპატიოსნებისთვის სრულებით საკმარისია, ვინმეს ფიზიონომია არ მოეწონოს, რომ მას 'მათრახის ცემით გვერდები შეუხუროს...

მაგალითი. მან ერთ 70 წლის მოხუცს „მენახირეს“ (ან. აბაშიძეს) ძალზე ცემა

---

ბია. მაგრამ ასეთი უბრალო საქმისთვის, როგორიც არის ლიტერატურული ქურდობა, დამეთანხმეთ, არ ღირს ადამიანის მომდურება და მერმე ისეთი ადამიანის, როგორიც არის ნოე ალმასხანიძე, პატრიოტი, ქვეყნის ერთგული და თან საცოლო ბიჭი, ამიტომაც არას ამბობენ... დიახ ყველაფერი ჩვეულებრივია ქალაქ №-ში. არა ჩვეულებრივია აქ მხოლოთ ზღვა, შავი ზღვა.

მე ყოველთვის სიზმარი მეგონა შავი ზღვა №-ს განაპირას. სიზმარი მგონია ეხლა. რაღაც არ შეეფერება №-ს ძილს შავი ზღვის ღვიძილი, არ შეეფერება №-ს მოდუნებულ ყოფას, მისი სიგიჟე და სიმარდე... დიდებული რამ არის ის აქ, როცა გადაყრის აქეთ-იქით თავის ფაფარს, გაწვება გულაღმა და სპეტაკ ტალღებში სხივებს აათამაშებს, შეუდარებელი რამ არის ის თავის მრავალ ფეროვანებით და შეუფერებელი №-ს ერთ ფეროვნებასთან. მე ყოველთვის სიზმარი მეგონა ის აქ, №-ს განაპირას, მოჩვენება, ოცნება მეგონა და მგონია ეხლაც...

შემოდგომაზე სულ სხვა რიგათ იცვლება ის. შავი ზღვა ეხვევა ნაცრის ფერ ტანსაცმელში, არა ჩვეულებრივი კვნესითა და კშენით გორაობს ის ბუდეში და ოხრავს, თითქოს გვერდები სტკივოდეს... ხან კი ღამით ასტეხს ღმუილს, ღმუის ხმა მაღლა, გულ-დათუთქული, ღმუის თითქოს ოცი ათასი მხეცი ერთათ შეყრილიყოს და ღმერთს შესჩივოდეს—მხეცათ რათ გაგვაჩინეო... ფანჯარას მაგრათ ვკეტავდი ასეთ ღამეებში, ვეხვეოდი საბანში, პირისახეს ვმალავდი ბალიშში და ვიწყებდი ფიქრს, ვფიქრობდი იმაზე, ვინც მიყვარდა, ვინც ყველას მერჩია... შემოდგომის გულსაკლავსა და ცივ ღამეში, როცა წვიმა სცემს ფანჯარას, როცა ქარი ზმუის, როცა ყოველივე ტირის და ოხრავს, შემოდგომის უდაბურსა და სევდიან ღამეში რა კარგია თბილი საწოლი! ეხვევი საბანში და სითბოსთან ერთათ მოდის შენთან მაისის მშვენიერი საღამო, ხედავ ვარდსა და ყვავილებს, ყნოსავ მათ, ისმენ მშვენიერ სიმღერებს და ეხვევი მას, ვინც გიყვარს, ვინც ყველაფერს გირჩევნია და ვინც არაოდეს, არაოდეს არ გინახავს თვალით, ვისაც ვერაოდეს, ვერაოდეს ვერ იხილავ... შემოდგომის ობოლ ღამეში, ოჰ, რა კარგია შემოდგომის ობოლ ღამეში თბილი საწოლი!..

...კინაღამ დამძინებია. წინააღმდეგ შემთხვევაში მე უნდა გამეგო, რომ ჩემ კართან სათვალურში ვიღაც მიცქერის. მე ყოველთვის, რაც უნდა ფრთხილათ მოვიდეს ის კარებთან, ვგებულობ მის მოსვლას, თუმცა ძვირათ თუ ოდესმე მივიხედავ მისკენ. ეხლა კი როცა იქით მივიხედე ის უკვე იქ იდგა და მიცქეროდა. ის, მცველი, ჩემი დარაჯი... მე აქ ვზივარ, სატუსაღოში და არა ქალაქ №-ში... და ცალი თვალი უძრავი, ფართე და უშინაარსო მომჩერებია მე. თითქოს ძროხის თვალი მოუტანია ვიღაცას და აქ, ჩემი ოთახის კარზე, შიგ შუა გულას მიუჭედია... და ყველაზე საზიზღარი და ამაშფოთებელი ის არის, რომ ეს თვალი არ ინძრევა... მინდა ავდგე, მივიდე კართან მივაფურთხო მას, მინდა ავდგე... მაგრამ ვიმაგრებ თავს, ძალას ვატან და განზე ვიწყებ ცქერას, მინდა გადამავიწყდეს ის... ხშირათ ხდება, რომ მე რამდენიმე საათს ზედი ზედ ვწერ და მისკენ არ მივიხედავ... მას ეს არ მოსწონს. ის შეანგრევს კარს, დააჩხვლეტს და მაიძულებს მივიხედო. ის კი შემპარავი ხმით მეძახის:

— ვსწერთ, სულ მუდამ ვსწერთ უფალო მცირიშვილო! მეტის მეტათ აფიქრებს მას ეს გარემოება. სულ მუდამ სწერს ტუსაღი! რაღაც სახეირო არ არის ამდენ წერაში. ამიტომ კვირაში ორხელ აუცილებლათ აიძულებს ციხის უფროს ოთახი გამიჩხრიკოს. შემოდიან, ამიფორიაქებენ ყველაფერს, გადასინჯავენ წერილებს, ხელნაწერებს, წიგნებს და მიდიან... ჩემი ერთგული მცველი კი ისევ განაგრძობს ჭვრეტას და ისევ მეუბნება, როცა დიდ ხანს ვწერ!

— ვსწერთ, სულ მუდამ ვსწერთ, უფალო მცირიშვილო!

**სპირიდონ მცირიშვილი.**

და ერთი დამე დაპატიმრებული ყავდა მხოლოდ იმისთვის, რომ უკანასკნელმა 3 მან. მოსთხოვა ძროხის „სამწყესური“ მის თანამემამულეს—მირსა-ალი-ოღლის. ხსენებული სასჯელის შემდეგ, მამასახლისმა დიდი ხვეწნა-მუდარით გაანთავისუფლა მოხუცი, მხოლოდ იმ პირობით, რომ „სამწყესურს“ 2 მ. დასჯერებოდა. გარდა ამისა ის 5 მ. დააჯარიმეს, რადგან „მისი ცემის დროს“ ერთ „სტრაჟს“ საათის ძეწკვი გაუწყდა (?) ცემა აგრეთვე ზ. და დ. ქურ—ძეებს და სხვა მრავალი...

გლეხებზე რომ გული იჯერა, პირუტყვებს მიყო ხელი. სადაც კი ნახავს ღორს,—ზოგს რევოლვერის ტყვიას ესვრის და ზოგსაც ხმლით ჩეხავს...

თქვენი მტერია... თუ მან ღორებზე „ნადირობა“ ასე განაგრძო—ერთ მშვენიერ დროს ხაშურლებს ყოველი ოთხფეხი სანატრელათ გაუხდებათ

— ამას წინეთ აქ „სტრაჟის“ მოკვლის და მამასახლისის—გ. სავანელის დაჭრის შემდეგ ძალიან გაამლიერეს პოლიციური ძალები, საღამოს 7 საათიდან სულ ყველა უბნებში პატრულები დადიან...

— **ს. ცხრა-მუხაში**, ამ დღეებში, საღამოს 10 საათზე მოვიდნენ და ჩხრეკას შეუდგნენ ამას წინეთ ხაშურში ჩამოსული 12 „სტრაჟი“ (აჭარელი თათრები). მათ არავინ უფროსთაგანი არ ხლებია თან... ჩხრეკამ მეორე დღეს 10 საათამდე გასტანა. გაჩხრიკეს ყველა სახლები, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს. ისინი ძლიერ აღელვებულნი იყვნენ, ამას წინეთ ხაშურში მოკლული სტრაჟის გამო, რისთვისაც მცხოვრებს ძლიერ სასტიკათ ეპყრობოდნენ. სცემდნენ და თან მოითხოვდნენ: „მოგვეცით ჩვენი ძმის მკვლელი —წითელი რაზმელები“-ო და სხვ... თავზარ დაცემულმა მცხოვრებლებმა აღარ იციოდნენ რა ექნათ. ბევრმა მათგანმა მეორე დღეს ნათესავ-ნაცნობებს შეაფარეს თავი ხაშურში, თუმცა აქაც ძლიერ შიშობენ ამ ამბის გამო. სხვათა შორის ძლიერ ნაცემია ორი გლეხი (გ. დონდაძე და ს. გოგინაშვილი). საზოგადოთ, აქ ძლიერ შეშინებულნი არიან „მცველების“ ასეთი ოვითნებობის გამო.

**იოსები.**

—

## კ ა ხ ე თ ი.

**სიღნაღი.** როგორც მკითხველებმა იციან 31 იანვარს მოხდა ქ. სიღნაღის ახალი ხმოსნების არჩევნები. არჩევნების დროს ხმოსანთა კანდიდატები ორ ჯგუფათ გაიყვნენ. პირველში მოყვნენ ძველი ხმოსნები და მათი მიმყოლნი, მეორეში კი, ახლათ წამოყენებული კანდიდატები. როგორც მოსალოდნელი იყო ძველმა ხმოსნებმა ხალხის თვალში კარგი ხანია ნდობა დაკარგეს თავიანთ უმოქმედობით და კიდეც ამიტომ შესაფერათ შეხვდა ხალხი მათ არჩევნებს. ისინი ძალიან ცდილობდნენ არჩევნების დროს როგორმე მიემხროთ ხალხი, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ტყუილი იმედები იყო მათი ამორჩევისა, ამიტომ, მეტი რაღა დარჩენოდათ, მიმართეს ჩვეულებრივ ხერხს; ასტეხეს ხმაურობა: თქვენ გვატყუებთ, თქვენ შეთქმულები ხართ ჩვენ წინაალმდეგ, თქვენ ბუნტოვშიკები ხართ, არჩევნებს ჩაშლით და სხვ. და დარბაზი დასტოვეს. კენჭი უყარეს მეორე ჯგუფს, რომელიც დიდის ხმის უმრავლესობით არჩეულნი იქნენ. ამ არჩევნებმა თავზარი დასცა პირველ ჯგუფს და დაიწყეს შავრაზმული აგიტაცია არჩეულების წინაალმდეგ. მისცეს თხოვნა თხოვნაზე თბილისის გუბერნატორს რომ არჩევნები გაებათილებია მაგრამ მათდა საუბედუროთ ამ ორი კვირის წინათ ქალაქის თავმა მოწერილობა მიიღო, რომ ის 15 ხმოსანი თავიანთ კანდიდატებით დამტკიცებული არიანო. კვირას 14 თიბათვეს ახალი ხმოსნები დაიფიცეს და მალე მოქმედებასაც შეუდგებიან. ამ ამბავმა უფრო თავზარი დასცათ მოწინაალმდეგეთ და აღარ იციან რა ქნან.

ახლა არ შეგვიძლიან ყურადღება არ მივაქციოთ ახალ არჩეულ ხმოსნებს, მოვაგონებთ მათ, რომ დღეს ბევრი რამ არის გასაკეთებელი სიღნაღში. მათთვის მეტი ენერგიაა საჭირო და იმედია დაპირებისამებრ უნარს გამოიჩენენ.

ახალ წლიდან ახალმა ხმოსნებმა უნდა აირჩიონ ახალი ქალაქის თავი. აქაც საჭიროათ დიდი დაფიქრება, რომ ნამდვილი მზრუნველი და ქალაქისთვის გულ-შემატკივარი კაცი აირჩიონ. იმედია ბბ-ნი ხმოსნები ამას ყურადღებას მიაქცევენ და ქალაქის საქმებს სათავეში ჩაუყენებენ დირსეულ კაცს.

**ბოგანო.**

—

## ს ა მ ე გ რ ე ლ ო

**სოფ. კიწია.** 1908 წლის 1-ლ აპრილიდან ნაოდალევის ნაწილის ბოქაულის წინადადებით აქ დანიშნულ იქნა სამი სტრაჟნიკი. საზოგადოებას ესენი უჯდება წელიწადში 1500 მანეთი. ვინ არ იცის თუ რამდენათ ძნელია დარიბ საზოგადოებისთვის ამათი შენახვა, მარა ვინ არის მშველელი?

— ამ ჟამათ ჩვენსკენ სიმინდი ფასობს 60 კ. ფუთი, სენაკში კი 80 კ. პარკის ყიდვა დაიწყო, ფუთი 14 მანეთი ფასობს. გარეშეები (სომხები და ბერძნები) ვერ შემოდიან სოფლათ, რადგან გაძარცვისა ეშინიათ. ამბობენ, რომ სოფლის ვაჭრები ხმებს ავრცელებენ ყაჩაღების შესახებ და ამიტომ ბერძნები და სომხები სენაკის იქით ვერ ბედავენ წასვლას. სოფლის ვაჭრები იაფ ფასებში იძენენ პარკს და თან აბრეშუმის თესლის ფულს ინაწილებენ. წრეულს მათი დარიგებული თესლი ნახევარზე მეტი უვარგისი გამოდგა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა მცხოვრებთ.

**ვინ-გან.**

—

**თელავი.** 16—19 ივნისს თელავში მოხდა კახეთის სამღვდელოების წარმომადგენლების კრება. კრების მიზანი იყო, თელავში არსებულ 4 კლასიან სასულიერო სასწავლებლის მომავალ სამოსწავლო წლის ბიუჯეტის განხილვა, რომელიც შეიმუშავა და წარუდგინა კრებას ხსენებულ სასწავლებლის გამგეობამ. კრებამ დაამტკიცა ბიუჯეტი მხოლოდ ისეთის შესწორებებით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია არ შევაჩეროთ მასზე მკითხველის ყურადღება. როგორც წარსულ წლებში, ისე ეხლაც ხარჯთ-აღრიცხვაში იყო ერთი მუხლი, რომელიც მოითხოვდა 500 მ. გადადებას სასწავლებლის დარიბ შეგირდთა დასახმარებლათ (წარსულ წელს კი ამავე საჭიროებისთვის გადადებული იყო 600 მ.). აი ეს მუხლი კრებამ წელს სავსებით ამოშალა ბიუჯეტიდან, რითაც 25 მოწაფეზე მეტი უმწეო მდგომარეობაში ჩაავდო. თუ ამ მოწაფეთაგან რომელიმე აღმოაჩინა სხვა წყარო, ძალიან კარგი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სასწავლებლის გარეთ უნდა დარჩეს. ამრიგათ, კრების ამ „მხნე“, მაგრამ დაუფიქრებელმა ნაბიჯმა საუკუნოთ გაუბედურა მოწაფეთა ძლიერ საკმაო რიცხვი. კრებამ არ შეიწყნარა აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვის მუხლიც, რომელიც მასწავლებელთათვის წლიურათ 100 მ. მომატებას ითხოვდა *) და ისევ ძველ ჯამაგირებში დასტოვა იმედ-გაცრუებული მასწავლებლები. შემოკლებულ ან სრულიად გაუქმებულ იქნენ აგრეთვე სხვა ბევრი საყურადღებო მუხლებიც. მაგრამ აქ თავის თავათ ისმება ერთი კითხვა: მაშ, რაზედ და იხარჯება ის 9 ათასი მ., რომელიც ზემოაღნიშნულ მაზრების სამღვდელოებას გადადებული აქვს ყოველ წლივ თელავში არსებულ სასულიერო სასწავლებლის სასარგებლოთ? ნუ თუ სხვა უფრო საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო მოთხოვნილებანი აქვს სასწავლებელს?!.

დასასრულ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ერთი ფრიად საყურადღებო ინცინდენტი, რომელსაც ხსენებულ კრებაზე ქონდა ადგილი და რომელიც საუცხოვო ნიმუშია ზოგიერთთა დემაგოგიისა.

ჯერ კიდევ ხარჯთა-აღრიცხვის განხილვის წინ, თავმჯდომარემ ბოდ... წინადადება მისცა კრებას აერჩია ქ. თელავში არსებულ სანთლის საწყობის გამგე. აქ კრების ზოგიერთ წევრებმა შენიშნეს ბ. თავმჯდომარეს, რომ ეს კითხვა (გამგეს არჩევა) ამ კრების კომპეტენციაში არ უნდა შესულიყო, მაგრამ, ბ. თავმჯდომარემ „ინსტრუქციის“ ძალით დაუმტკიცა მათ წინააღმდეგი და დაარწმუნა, რომ ამ კითხვის გადაჭრა პირდაპირ კრების მოვალეობას შეადგენდა.

წამოყენებულ იქნა წევრთაგან რამდენიმე კანდიდატურა და სხვათაშორის არც ბატ. თავმჯდომარეს დავიწყებია თავის კანდიდატურის წამოყენება. მოხდა არჩევნები და დახეთ კრების გაკადნიერებას—მან გაასავა თავის თავმჯდომარე, არჩევნების მხურვალე ინიციატორი და გამგეთ ერთი წევრთაგანი აირჩია.

ასეთ მოულოდნელმა დამარცხებამ ბ. თავმჯდომარეს მოსვენება დაუკარგა და როდესაც კრებამ მიმართა მას ხელი მოეწერა დადგენილებისათვის, „პატივცემულმა“ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას ამის უფლება არა აქვს, რადგან ეს კითხვა კრების კომპეტენციაში არ შედისო. ამის შემდეგ მან დემონსტრატიულად დასტოვა კრების დარბაზი, რითაც სრულს განცვიფრებაში მოიყვანა ყველა იქ მყოფნი. დიდხანს ელოდენ მის დაბრუნებას, რადგან კრება მან დაუხურავი დასტოვა და ბოლოს, როდესაც სასწავლებლის ზედამხედველმა წაუკითხა მათ თავმჯდომარის მოწერილობა, სადაც ის აცხადებდა კრება ხვალამდის დახურულიაო—დაიშალნენ.

ამის გამო კრების ერთ წევრთაგანმა ბ. ნ...ხსენებული თავმჯდომარე კრების სახელით გამოიწვია სამედიატორო სამართალში, რომელმაც გაამტყუნა გზა-აბნეული თავმჯდომარე და ისიც იძულებული იყო ბოდიში მოეხადა კრების წინაშე.

**ვ. კახელი.**

*) სამღვდელოება, რომლის პირითაც კრება ლაპარაკობდა, თავის ხარჯით ინახავს სამ მასწავლებელს. ორს მათგანს ეძლეოდათ წლიურათ 800 მ. თითო, ერთს კი 710 მ.

---

# მუშათა შორის

**ამხ. „რექტიფიკატის“ მუშათა ცხოვრებიდან.** სხვა ხაზეინებს არც ჩვენი ხაზეინები ჩამორჩნენ. 13 თიბათვეს შემდეგი მოთხოვნები წარმოგვიდგინეს: 1) დათხოვნილ იქნას 15 თიბათვიდან 5 კაცი (გამგემ თვითონ წამოაყენა დათხოვნილი პირნი); 2) დააკლდეს ჯამაგირზე 15 პროც., 20 პროც. და 25 პროც.; 3) გაუქმდეს სამკითხველო; 4) გაუქმდეს მუშის სიკვდილის შემდეგ მისი ოჯახობის დაჯილდოვება; 5) მოისპოს მუშის დაზღვევა; 6) ხაზეინს უფლება ქონდეს მიღება-დათხოვნისა და სხვა. ამას დაუმატა გამგემ, რომ როგორც სხვაგან, ჩვენც 9 საათის სამუშაო დღე უნდა შემოვიღოთო. მუშებმა გაგზავნეს კაცები და შეეკითხნენ, რა არის მიზეზი, რომ ამ ხუთ კაცს ითხოვთო, გამგემ უპასუხა: ჩვენ თუ გვინდა ჩვენი წარმოების შერჩენა და გვსურს ახალი წესები შემოვიღოთ, ეს პირნი უნდა მოვიშოროთო. ამ 5 კაცმა აიღო ანგარიში. დანარჩენ მუხლების შესახებ მუშებმა მოიწვიეს საფაბრიკო ინსპექტორი, რომ საქმე მორიგებით გაეთავებინათ, მაგრამ ამათ, გამგემ კატეგორიულათ მოითხოვა, რომ მუშებს მიეღოთ მათი მოთხოვნები. საფაბრიკო ინსპექტორმა სთხოვა მუშებს დათანხმებულიყვნენ. მუშებსაც მეტი გზა აღარა გვქონდა და თანხმობა გამოუცხადეთ. ასე მოიქცნენ ჩვენი გულკეთილი ხაზეინები.

1906 წლიდან ჩვენს ქარხანაში მუშაობდა 110 კაცი, დღეს კი ქარხანაში 30 კაცი-ღა იმყოფება. ჯერ შარშან ერთაო დაითხოვეს 30 კაცი, შემდეგ 20. დანარჩენი წვრილ-წვრილათ (კანტორის მოსამსახურეები კიდევ სხვა). მაშინ მიზეზათ აყენებდნენ კრიზისებს, ახლა კი კონკურენტებს ასახელებენ, მაგრამ ამასაც ჩვენს მოსატყუებლათ. დღეს ქარხანაში 30 მუშაა, გამგეთ კი 2 დირექტორია და 1 „უპრავლიუშჩი“, სამნივ ჯამაგირს იღებენ თვეში 650 მ. ამავე დროს მუშებს კი კაპიკობით უკლებენ. აქედან თავის თავათ ცხადია, რომ მათ ზარალი კი არ აწუხებთ, არამედ ხანა დაუდგათ და დროებით სარგებლობენ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშებში ჯერ ბევრში დარჩენილა გულუბრყვილობა. ჩვენ როდესაც ვამბობდით, რომ ასე მოხდებაო, ზოგი მუშები შემდეგს ამბობდნენ: დ. ზ. სარაჯიშვილი კეთილი კაცია, ის ჩვენი მამაა, ის მაგას არ გვიზამსო, მაგრამ ახლა კი დარწმუნდნენ, რომ ისიც სხვებსავით ხაზეინია, ამხანაგობაში ყველაზე მეტი ხმა მას ქონდა და შეეძლო კიდეც საქმის კარგათ წაყვანა, მაგრამ 12 თიბათვეს ის საზღვარგარეთ წავიდა და მისი ბრძანებაც აღასრულეს. ამ უტყუარმა საბუთმა ეხლა დაარწმუნა ის ურწმუნოები, რომელნიც დ. ზ. მამას უწოდებდნენ.

უნდა აღვნიშნოთ ჩვენ და სამწუხაროთ, რომ მუშებში პატარა აზეფიც გამოჩნდა, რის შემწეობითაც დაითხოვეს 5 კაცი.

**ბოგანო.**

—

**ბათუმის რკ. გზ. საქონლის სადგურის მოსამსახურეების ცხოვრებიდან.** აქაურმა მოსამსახურეებმა ყველაფერს ზურგი აქციეს და კარტის თამაშსა და ღვინის სმას ანდომებენ მთელ თავიანთ ძალ-ღონეს. მათი ერთად-ერთი გასართობი კარტი არის. მიიღებენ თუ არა ჯამაგირს უპირველეს ყოვლისა კარტის თამაშს იწყებენ, ამას თან მოსდევს ღვინის სმა და ქეიფი, ქეიფს კი, როგორც ჩვეულებაა, ჩხუბი და ორონ-ტრიალი. ყველა ამას სჩადიან ის ვაჟბატონები, რომლებსაც „მას ჟამსა შინა“ მოწინავეებათ მოქონდათ თავი. მათი ასეთი მოქმედება მით უფრო სამწუხაროა, რომ ეს ცუდ გავლენას ახდენს შეუგნებელ მუშებზე.

**გურის ტაბელი.**

---

### წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ შემდეგ პირთ:

ქ-ნ. მარიამ დემურიას, რომელმაც შემოსწირა სახ. უნივერ. ქართულ სკოლას 60-მდე ცალი საყმაწვილო ჟურნალი ნაკადული სხვადასხვა წლისა.

ქ-ბ. მუსხელაშვილმა შემოსწირა გლობუსი 10 მანეთათ ღირებული.

ქ-ბ. ასათიანისამ შემოსწირა 3 ცალი გრამატიკა.

ბ-ნი მიხაილ ჩოდრიშვილმა შემოსწირა ბეჭედი ქართული სექციისა ღირებული 2 მ. 50 კ. და ერთი პატარა ლამპა ღირ. 40 კაპ.

ბ-ნ. ლ. სიმონოვმა შემოსწირა 1 ცალი ნავთის ქურქელი 1 ფუთიანი.

ბ-ნ თ. შილაკაძემ შემოსწირა 2 ცალი ნავთის ქურქელი, ნახევარ-ნახევარი ფუთიანი. კარგი იქნებოდა რომ სხვებიც მიბაძავდნენ ამეთ და მით ხელი შეუწყონ ჩვენს სკოლების არსებობას.

სახ. უნივ. ქართული სექცია.

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი მისცეთ, თქვენ პატივცემულ გაზეთში ამ ჩემ მცირე განმარტებას. „ჩვენი საქმის“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო ჩემი კორესპონდენცია, შემდეგი მნიშვნელოვანი შეცთომა შემეპარა. მე ვამბობდი: ერთმა ჯგუფმა, რომელშიაც ქ-ნნ ადეიშვილი იყო, სცემეს ნახუტურის სასაფლაოზე მათხოვარ ქალს და სხვ. ეხლა დანამდვილებით გავიგე, რომ ქ-ნი ადეიშვილი იქ არ ყოფილა ამიტომ დიდათ ვწუხვარ, რომ ქ-ნ ადეიშვილს უნებლიეთ შეურაცყოფა მივაყენე.

**ვალიბ**

---

რედაქტორ-გამომცემელი

**ლ. ბ. დადიშქელიანი**

---

# განცხადებანი


**დაჯილდოვებულია**

დიდი **ვერცხ.** და **ოქროს** მედ.

მეტათ კარგი ღირსებისათვის

**ნაცრო-ლიცევი წყალი**

ზემმელის ძველი ზავოდის

თფილისი, ველიკოკნიაჟ. 40, ტელეფონი 216. საუკეთესო საშუალება კუჭის კატარის და ქვის, თირკმლების, ღვიძლის და შარდის ბუშტის ავათმყოფობის წინაალმდეგ, აქრობს სიმჟავეს, ადნობს და სწმენდავს ქვას და ქვიშას.

ფასი სამკურ. წყ. ბოთ. 18 კ. იქვე **ობერზალცბრუნ., გუნიადი-იანოს, ემსკის და** აგრეთვე **სელტერსკი, სოდის** და ყველა **ხილეულობის წყლები.**

!!!გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა!!!

ჩვენ მოგვარეთა და ყალბი იარლიკების გასარჩევათ ვთხოვთ მოითხოვონ წარწერა ყველა იარლიკზე. დიდი „ვერცხ. და ოქროს“ მედლები და ზავ. მარკა გემი „ოსკარი“. (20—5)

---




## ა ლ მ ე ზ ა

ალმეზა 2 წუთში აცხრობს კბილის ტკივილს. კარგავს პირის სიმყრალეს. ამაგრებს ღრძილებს, აჩერებს სისხლის დენას. აუცილებელი საპიროა ყოველს ოჯახში. ვარჩენთ კანტორაში უფასოთ. ფასი ნორ. ფლ. 1 მ. 20 კ.; საცდელისა 40 კ. ვგზავნით ფასდადებით. დარიგება თან ახლავს. **საწყობის კანტორა თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. 15—10

---

## ⟡ ი ყ ი დ ე ბ ა ⟡

მიწა—263 კვად. საჟენი. საბურთალოზე, მალაკნების კოლონია. პირობებისათვის გთხოვთ მიმართოთ მალაკნის ქუჩა № 2, ნ. გიორგობიანს, ანუ ბელინსკი ქუჩა 19, ნ. კარანგოზოვს. 5—4

---

დაიკარგა პატარა

## ძ ა ღ ლ ი

9 ივნისს ჟოკეი-ცლუბის ქუჩაზე „ჟურახ“, ფერათ თეთრი, მოყვითალო და თეთრი, წელზე ყვითელი ზოლი. ვინც მოიყვანს მიიღებს საჩუქარს. გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 21. (1—1)

---

## აბარაკი ზაკურიანი

ივანე მიქაბერიძის სახლში გაიხსნა **სასტუმრო** სუფთა ნომრებით, **აძლევენ სადილს** ევროპიული და აზიური საჭმელებისაგან. მსურველნი მიიღებიან თვიურათ. **ხვიმონ მეგრელიშვილი.** 10—8

---

## სპერნატინ. და ალმეზას

**საწყობი** გადატანილია ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, **ნეკრასოვის ქ. № 14.** **ახობაძე.** 30—4

---

## სიკვდილი ბაღლინჯოებს.

ახალი საშუალება კლაპოვინი, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას გაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამალი. ფლაკონი 35 კ. დარიგებასთან ახლავს. ვგზავნით ფას-დადებით. მოითხოვეთ კლაპოვინი ახობაძისა. **ერთათ ერთი საწყობი თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ,. ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც. 15—10


---

### მატარებლების მიმოსვლა

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა.

**თფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო № 7|8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 9|10, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო № 74|75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. № 78|79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში 1) საგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო № 77a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**თფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი № 2, დილის 3 ს. 38 ს. (9 ს. 36 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო № 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 7 საათ. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო № 7|8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო № 9|10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო № 72|73, დილის 5 ს 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა-უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის საგარაკო № 76a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2. ს. 28 წ.). საგარაკო № 6, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ..)

---


ამხ. „სორაპანის“ გამოცემა

# ახალი ჩანგი

20 ამ თვისთვის ვეღარ გამოვიდა, რადგან წიგნის სიპატარავის გამო განზრახული მასალა აღარ ჩაეტია, ხოლო შემოკლებით გამოცემა წიგნისა კი უხერხულად ვცანით. ამიტომ „ახალი ჩანგი“ გამოვა დიდი ზომის წიგნად, ე. ი. იქნება 450 გვ. და შეიძლება მეტიც. წიგნში ჩართული იქნება 50-ზე მეტი სურათი ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და მრავალი ახალი ვონეტკა განგებ „ახალი ჩანგისათვის“ ამოჭრილი. ხელის მომწერთათვის ეს წიგნი ეღირება 50 კ., **ვისაც 25 კაპ. გადახდილი აქვს, მან კიდევ 25 კ. უნდა დაუმატოს. ვინც არ მოისურვებს 25 კაპ. დამატებას, მას შეუძლია თავისი 25 კ. უკანვე წაიღოს.** ფულის უკანვე მიღება და დამატება შეიძლება იმ აგენტთან, სადაც ნაყიდია „ახალი ჩანგის“ კვიტანციები. ფულის დამატება შეიძლება **ივლისის 10 რიცხვამდის.** ვინც ამ ხნის განმავლობაში 25 კ. არ დაუმატებს, მას წიგნი აღარ მიეცემა, მხოლოდ პირველათ შემოტანილი ფული 25 კ. დაუბრუნდება უკან, როცა მოითხოვს. ვისაც ფოსტის საშუალებით აქვს გამოწერილი, მათაც ამნაირის წესით უნდა დაუმატონ.—ვინც 10 ივლისამდე არ დაუმატებს, მას თავისი მარკები უკანვე გაეგზავნება.

რადგან „ახალი ჩანგი“ დიდი ზომის წიგნია და დაუკაზმავად უხერხული სახმარი იქნება, ამიტომ ჩვენ ვაკეთებინებთ ყდებს. ყდები საუკეთესო „რიპსის“ კალენკორისაგან იქნება გაკეთებული, მოვარაყებულის წარწერებით, ხელის მომწერთათვის ყდა ეღირება 25 კ. (ამნაირი ყდა ცალკე წიგნის 50 კ. ღირს). ვისაც ენებება, რომ წიგნი ყდიანი მიიღოს, მან უნდა დაუმატოს სულ 50 კაპ.

„ახალი ჩანგი“ ცალკე გასასყიდათაც გამოვა. ყდიანი ეღირება 1 მ. 25 კ.

„ახალი ხელის მომწერლები აღარ მიიღებიან. „წიგნი გამოვა ივლისის დამლევს“.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ т-во „Сорапань“ М. Гачечиладзе.** 10—1